

შპს "კენტავრი" (ს/კ 211324020)
ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2022 წლის
ფინანსური ანგარიშგება
შპს "კენტავრი" (ს/კ 211324020)

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
საქმიანობის შედეგები
ფულადი სახსრების მოძრაობა

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მომზადების საფუძველი
3. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები
4. სავაჭრო მოთხოვნები
5. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი
6. მარაგები
7. სხვა მიმდინარე აქტივები
8. ძირითადი საშუალებები/საინვესტიციო ქონება
9. სავაჭრო ვალდებულებები
10. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები
11. გადასახადები
12. ფინანსური ვალდებულებები
13. სხვა ვალდებულებები
14. კაპიტალი
15. ამონაგების აღიარება
16. საოპერაციო იჯარა/სხვა შემოსავალი
17. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი
18. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან
19. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
20. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები
21. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

შპს "კენტავრი" (ს/კ 211324020)

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	104,552	30,863
სავაჭრო მოთხოვნები	4	4,396	33,106
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	5	284	10,152
მარაგები	6	270,727	192,828
- მზა პროდუქცია		-	0
- სხვა		270,727	192,828
საინვესტიციო ქონება	8	456,160	-
სხვა მიმდინარე აქტივები	7	169,946	8,228
ბიოლოგიური აქტივები		-	-
- თვითღირებულების მოდელით		-	-
- გადაფასების მოდელით		-	-
გუდვილი		-	-
სხვა არამატერიალური აქტივები		-	-
ძირითადი საშუალებები	8	2,037,635	1,534,035
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-
სულ აქტივები		3,043,700	1,809,212

ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-
სავაჭრო ვალდებულებები	9	34,677	9,034
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	10	5	26,592
საგადასახადო ვალდებულებები	11	-	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		343,056	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	12	1,016,108	375,202
მიღებული გრანტები		-	-
სხვა ვალდებულებები	13	52,135	2,797
სულ ვალდებულებები		1,445,981	413,625
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		-	-
საემისიო შემოსავალი		1,500	1,500
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		-	-
გადაფასების რეზერვი		1,596,219	1,394,087
სხვა რეზერვები		-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		1,597,719	1,395,587
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3,043,700	1,809,212

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "კენტავრი"-ს სახელით 2023 წლის 14 სექტემბერს.

გურამ ბეჟაძე

თანდართული მნიშვნელობები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შპს "კენტავრი" (ს/კ 211324020)

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები


(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.
ნეტო ამონაგები		1,267,290	1,014,810
საქონლის გაყიდვიდან		-	-
მომსახურების გაწევიდან	15	1,267,290	1,014,810
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-	-
სხვა		-	-
		-	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(240,045)	(138,731)
საერთო მოგება		1,027,245	876,079
სხვა შემოსავალი	16	163,257	12,150
დასაქმებულთა ანაზღაურება	10	(664,929)	(593,716)
ცვეთა და ამორტიზაცია		(68,440)	(55,374)
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი	12	(16,773)	(16,857)
იჯარის ხარჯი		(19,495)	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	17	(178,725)	(60,275)
სულ საოპერაციო ხარჯები		(785,105)	(714,072)

საოპერაციო მოგება		242,140	162,007
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები		(17,059)	-
მარაგები		-	-
სხვა არაფინანსური აქტივები		-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	18	63,754	53,409
მიღებული დივიდენდები		-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		-	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		288,835	215,416
მოგების გადასახადი		(13,020)	-
მოგება/(ზარალი)		275,815	215,416
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			-
სხვა			-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	14	275,815	215,416
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი):		1,395,587	1,215,960
_აღრე წარდგენილი			-
_წინა პერიოდის შეცდომების გასწორება			-

ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(73,683)	(35,789)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,597,719	1,395,587

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "კენტავრი"-ს სახელით 2023 წლის 14 სექტემბერს.



გურამ გეჯაძე

თანდართული მენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შპს "კენტავრი" (ს/კ 211324020)

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	1,733,993	1,211,915
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(1,724,885)	(546,264)
დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(512,888)	(469,088)
ბანკის საკომისიო	(4,186)	(1,697)
გადახდილი გადასახადები	(389,246)	(274,914)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	(897,212)	(80,049)
გადახდილი მოგების გადასახადი		-
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(897,212)	(80,049)
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის		-
ფულადი სახსრების გასვლა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული		-
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან		1,500
ფულადი სახსრების შემოსვლა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული		-
მიღებული პროცენტი		-
მიღებული დივიდენდები		-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	0	1,500
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განაღდებად		-
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	1,090,241	118,980
საკუთრების გადაცემის პირობის მქონე იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულებების		-
სესხის ძირის გადახდა	(37,762)	(36,206)
სესხის პროცენტის გადახდა	(16,773)	(16,857)
დივიდენდების გადახდა	(69,999)	(34,000)
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	965,708	31,917
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	68,496	-46,633
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	30,863	57,895

სავალუტო კურსის ეფექტი	5,193	19,600
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	104,552	30,863

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "კენტავრი"-ს სახელით 2023 წლის 14 სექტემბერს.

.....

 გურამ გეგაძე

შპს "კენტავრი"-ს დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022წ.	31.12.2021წ.
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	104,552	30,863
სავაჭრო მოთხოვნები	4	4,396	33,106
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	5	284	10,152
მარაგები	6	270,727	192,828
- მზა პროდუქცია		-	0
- სხვა		270,727	192,828
საინვესტიციო ქონება	8	456,160	-
სხვა მიმდინარე აქტივები	7	169,946	8,228
ბიოლოგიური აქტივები			-
- თვითღირებულების მოდელით		-	-
- გადაფასების მოდელით		-	-
გუდვილი		-	-
სხვა არამატერიალური აქტივები		-	-
ძირითადი საშუალებები	8	2,037,635	1,534,035
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-
სულ აქტივები		3,043,700	1,809,212
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-
სავაჭრო ვალდებულებები	9	34,677	9,034
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	10	5	26,592
საგადასახადო ვალდებულებები	11	-	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-

შპს "კენტავრი" (ს/კ 211324020)
ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		343,056	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	12	1,016,108	375,202
მიღებული გრანტები		-	-
სხვა ვალდებულებები	13	52,135	2,797
სულ ვალდებულებები		1,445,981	413,625
საკუთარი კაპიტალი	14	-	
კაპიტალი		1,500	1,500
საემისიო შემოსავალი		-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1,596,219	1,394,087
გადაფასების რეზერვი		-	-
სხვა რეზერვები		-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		1,597,719	1,395,587
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3,043,700	1,809,212

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "კენტავრი"-ს სახელით 2023 წლის 14 სექტემბერს.

.....

გურამ ბეჟაძე

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები
 (თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022წ.	31.12.2021წ.
ნეტო ამონაგები		1,267,290	1,014,810
საქონლის გაყიდვიდან		-	-
მომსახურების გაწევიდან	15	1,267,290	1,014,810
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-	-
სხვა		-	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(240,045)	(138,731)
საერთო მოგება		1,027,245	876,079
სხვა შემოსავალი	16	163,257	12,150
დასაქმებულთა ანაზღაურება	10	(664,929)	(593,716)
ცვეთა და ამორტიზაცია		(68,440)	(55,374)
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი	12	(16,773)	(16,857)
იჯარის ხარჯი		(19,495)	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	17	(178,725)	(60,275)
სულ საოპერაციო ხარჯები		(785,105)	(714,072)
საოპერაციო მოგება		242,140	162,007
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები		(17,059)	-
მარაგები		-	-
სხვა არაფინანსური აქტივები		-	-
		-	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	18	63,754	53,409
მიღებული დივიდენდები		-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		-	-

მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		288,835	215,416
მოგების გადასახადი		(13,020)	-
მოგება/(ზარალი)		275,815	215,416
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			-
სხვა			-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	14	275,815	215,416
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი):		1,395,587	1,215,960
_ადრე წარდგენილი			-
_წინა პერიოდის შეცდომების გასწორება			-
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(73,683)	(35,789)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			-
კაპიტალის სხვა ცვლილებები			-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1,597,719	1,395,587

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "კენტავრი"-ს სახელით 2023 წლის 14 სექტემბერს.

.....

გურამ გეჯაძე

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	31.12.2022წ.	31.12.2021წ.
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	1,733,993	1,211,915
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(1,724,885)	(546,264)
დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(512,888)	(469,088)
ბანკის საკომისიო	(4,186)	(1,697)
გადახდილი გადასახადები	(389,246)	(274,914)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	(897,212)	(80,049)
გადახდილი მოგების გადასახადი		-
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(897,212)	(80,049)
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის		-
ფულადი სახსრების გასვლა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის		-
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან		1,500
ფულადი სახსრების შემოსვლა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივების გაყიდვიდან		-
მიღებული პროცენტი		-
მიღებული დივიდენდები		-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	0	1,500
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განაღდებად		-
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	1,090,241	118,980
საკუთრების გადაცემის პირობის მქონე იჯაროდან წარმოქმნილი ვალდებულებების გადახდა		-
სესხის ძირის გადახდა	(37,762)	(36,206)
სესხის პროცენტის გადახდა	(16,773)	(16,857)
დივიდენდების გადახდა	(69,999)	(34,000)
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	965,708	31,917
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	68,496	-46,633
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	30,863	57,895
სავალუტო კურსის ეფექტი	5,193	19,600
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	104,552	30,863

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "კენტავრი"-ს სახელით 2023 წლის 14 სექტემბერს.

.....

გურამ ბეჯაძე

შპს "კენტავრი"-ს დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "კენტავრი" (შემდგომში „კომპანია“) არის 1996 წლის 22 მაისს საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, აღმაშენებლის ხეივანი, №6, რაც ასევე წარმოადგენს მის ფაქტობრივ მისამართს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ყავს ხუთი მეწილე 34%, 33%, 5.5%, 20.625% და 6.875%-ის მფლობელი ფიზიკური პირები თეიმურაზ ბურჯანაძე, ვადიმ კურგანოვი, ნინო სოზიაშვილი, ელენე იმერლიშვილი და ქეთევან სოზიაშვილი. კომპანიის დირექტორია გურამ გეჯაძე.

2. მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში „მსს ფასს“), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების „მსს ფასს-ზე გადასვლა“-ფარგლებში).

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი („GEL“).

წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

3. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ეროვნულ ვალუტას რეზიდენტ ბანკში და უცხოური ვალუტას რეზიდენტ ბანკში.

<i>თანხა მოცემულია ქართულ ლარში</i>	2022	2021
ნაღდი ფული სალაროში	3 093	12 924
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	33 566	17 574
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	67 881	365
სულ	104 552	30 863

4. სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. 2022 წლის განმავლობაში მოხდა 17 059 ლარის სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურება.

<i>თანხა მოცემულია ქართულ ლარში</i>	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები	21 455	33 106
გაუფასურების ხარჯი	(17 059)	
სულ	4 396	33 106

5. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავლები მოიცავს ძირითადი მომწოდებლებისთვის გადახდილ ავანსებს.

<i>თანხა მოცემულია ქართულ ლარში</i>	2022	2021
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	284	10 152
სულ	284	10 152

6. მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს ძირითადი საქმიანობისთვის განკუთვნილ ნედლეულსა და მასალას, (სახარჯი მასალა) რომელიც მის მიერ მომსახურების გაწევის პროცესში იხარჯება.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

<u>თანხა მოცემულია ქართულ ლარში</u>	2022	2021
ნედლეული და მასალები	270 506	192 645
მზა პროდუქცია	-	-
სხვა მარაგი	222	183
სულ	270 727	192 828

7. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს ძირითადად საგადასახადო ორგანოსა და საპენსიო სააგენტოში ზედმეტად გადახდილ თანხებს.

<u>თანხა მოცემულია ქართულ ლარში</u>	2022	2021
საგადასახადო აქტივი	169 946	8 228
საპენსიო სააგენტოში ზედმეტად გადარიცხული	-	-
სულ	169 946	8 228

8. ძირითადი საშუალებები/საინვესტიციო ქონება

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალებების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. კომპანიის სახელზე

არსებული მიწა წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას, რომელზეც დამაგრებული შენობა-ნაგებობები. დაუმთავრებელ მშენებლობას არ ერიცხება ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

- შენობა-ნაგებობები 25-70 წელი
- გზა და ნაგებობები 8-20 წელი
- მანქანა-დანადგარები 3-20 წელი
- ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი 3-15 წელი

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა. 2021 წელს მიწის ღირებულების მატება გამოწვეულია არა შეძენით არამედ მიწის კეთილმოწყობით, რომლის ღირ-ბა დაკაპიტალიზირდა მიწის თვითღირ-ბაზე. შენობების ღირებულების მატება განპირობებულია დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშიდან შესაბამისი შესრულებული ღირ-ბის გადატანით შენობების ანგარიშზე.

კომპანიის ძირითადი საშუალებების შემადგენლობაშია შენობა, რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა 2022 წლის მარტის თვეში, ხოლო ამავე წლის მაისის თვეში იჯარით გაიცა საოპერაციო იჯარის ფარგლებში. მსს ფასს-ის 16-ე განყოფილების მიხედვით ზედმეტი ძალისხმევის გარეშე შეუძლებელია რეალური ღირ-ბის დადგენა, მისი აღრიცხვა ხდება თვითღირებულების მოდელით.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	გზა და ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	სულ
31 დეკემბერი 2021	367,516	467,600	557,861	44,865	567,847	17,010	2,022,211
შემოსვლა/რემონტი	560,000	82,066	931,813	-	3,500		1,577,379
საინვესტიციო ქონება	-		(467,600)	-			(467,600)
გასვლა	-	(549,666)		-			(549,666)
31 დეკემბერი 2022	927,516	0	1,022,074	44,865	571,347	17,010	2,582,811
ცვეთა და გაუფასურება							
31 დეკემბერი 2021	-	-	(156,259)	(15,067)	(302,423)	(14,428)	(488,177)
პერიოდის ცვეთა			(23,017)	(4,486)	(28,812)	(684)	(57,000)
გასვლა							-
31 დეკემბერი 2022	-	-	(179,276)	(19,554)	(331,235)	(15,112)	(545,177)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2021	367,516	467,600	401,602	29,797	265,425	2,582	1,534,035
31 დეკემბერი 2022	927,516	0	842,798	25,311	240,112	1,898	2,037,635

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	საინვესტიციო ქონება შენობა	სულ
31 დეკემბერი 2021	-	-
შემოსვლა/რემონტი	467,600	467,600
გადაფასება	-	-
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2022	467,600	467,600
ცვეთა და გაუფასურება		
31 დეკემბერი 2021	-	-
პერიოდის ცვეთა	(11,440)	(11,440)
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2022	(11,440)	(11,440)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2021		
31 დეკემბერი 2022	456,160	456,160

9. სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

10. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება. 2021 წელს მენეჯმენტზე გაცემული იქნა ხელფასი 56 028 ლარის ოდენობით, ხოლო 2022 წელს 41 645 ლარის ოდენობით.

11. გადასახადები

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება). მოგების ახალი მოდელით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე კომპანიებს საშუალება მიეცათ, 2017 წლამდე ბიუჯეტში გადახდილი მოგების გადასახადი ჩაითვალოს მომდევნო პერიოდებში თუ ისინი მოგების სახით გაანაწილებენ 2017 წლამდე დაგროვილ მოგებას. კომპანიას 2022 წელს დივიდენდების სახით გაცემულ 73 683 ლარზე მოახდინა მოგების გადასახადის გადახდა 13 020 ლარის ოდენობით.

დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით). საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად დღგ-თი დაბეგვრა ხდება წინასწარ კომპანიის მიერ მიღებული კომპენსაციის თანხების.

12. ფინანსური ვალდებულებები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება. 16 773 ლარი წარმოადგენს სესხის პროცენტს, რომელიც დაფარული იქნა 2022 წელს.

2022 წლის მდგომარეობით კომპანიას გააჩნდა დამი 10 წლიანი სესხი

დოლარში სესხი 1 – წლიური 7.30% 10 წელი და აღებულია კომპანიის მიერ საბრუნავი საშუალებების და ძირითადი საშუალებების შესაძენად; დოლარში სესხი 2 - წლიური 7.80% 10 წელი და აღებულია კომპანიის მიერ საბრუნავი საშუალებების და ძირითადი საშუალებების შესაძენად; ევროში სესხი 1 – წლიური 4,2% 10 წელი და აღებულია კომპანიის მიერ საბრუნავი საშუალებების და ძირითადი საშუალებების შესაძენად.

<i>თანხა მოცემულია ქართულ ლარში</i>	2022	2021
გრძელვადიანი სესხი	1 016 108	375 202
მიმდინარე ნაწილი	343 056	-
სულ	1 359 163	375 202

13. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს კომპანიის მიერ წინასწარ მიღებულ თანხებს, რომელთა აღიარება დარიცხვის მეთოდით მოხდა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და დავალიანებას საპენსიო სააგენტოს მიმართ.

14. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი.

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1 500 ლარს.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად მართვა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს მფლობელთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და მფლობელებისთვის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

დივიდენდების აღიარება ხდება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან

გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

2021 წელს კომპანიის მიერ მოხდა გაუნაწილებელი მოგებიდან დივიდენდების გამოცხადება და განაწილება 35 789 ლარის ოდენობით.

<i>თანხა მოცემულია ქართულ ლარში</i>	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 01 იანვარი 2022წ.	1 500	1 394 087	1 395 587
შენატანი	-	-	-
გაცემა	-	-	-
დივიდენდები	-	(73 683)	(73 683)
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	-	275 815	275 815
ბალანსი 31 დეკემბერი 2022წ.	1 500	1 596 219	1 597 719

15. ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

16. საოპერაციო იჯარა/სხვა შემოსავალი

კომპანია, როგორც მეიჯარე - კომპანიას საოპერაციო იჯარის ფარგლებში გაქირავებული აქვს გარკვეული აქტივები და ერთი შენობა. საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარსდგება „სხვა შემოსავლების“ მუხლში. 2021 წლის განმავლობაში საიჯარო შემოსავლებმა შეადგინა 10 915 ლარი, ხოლო 2022 წელს 150 832 ლარი.

17. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

<i>თანხა მოცემულია ქართულ ლარში</i>	2022	2021
საკანცელარიო ხარჯი	1 886	1 114
სატრანსპორტო ხარჯი	606	-
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	123 313	49 784
საბანკო მომსახურების ხარჯი	5 644	1 697
სხვა ხარჯი	47 274	7 678
სულ	178 725	60 275

18. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. კურსთა შორის არსებული დიდი სხვაობა გამოუწვევლია იმით, რომ კომპანიას 2022 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ოპერაციები განხორციელებული ქონდა უცხოურ ვალუტაში და ქონდა წლის ბოლოს უცხოური მომწოდებლების მიმართ დავალიანება, რაც წლის ბოლოს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული კურსით გადაფასდა.

კურსები წლების მიხედვით:

	2022	2021
ევრო EUR	2,8844	3,5040
აშშ დოლარი USD	2,7020	3,0976
<i>თანხა მოცემულია ქართულ ლარში</i>	2022	2021
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება	68 757	57 157
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	(5 013)	(3 748)
სულ	63 754	53 409

19. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი მომზადებულია პირდაპირი მეთოდის საფუძველზე და მოიცავს ფულადი სახსრების მოძრაობას სამი სახის საქმიანობიდან: საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან. საოპერაციო საქმიანობა საწარმოს ძირითადი შემოსავლების მომტანი საქმიანობაა. მაშასადამე, საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადები, საზოგადოდ, წარმოიშობა ისეთი სამეურნეო ოპერაციებისა და სხვა მოვლენებისა და გარემოებების შედეგად, რომლებიც გაითვალისწინება მოგების ან ზარალის განსაზღვრისას. საინვესტიციო საქმიანობა მოიცავს გრძელვადიანი აქტივებისა და სხვა ისეთი ინვესტიციების შეძენასა და გასვლას, რომლებიც არ შედის ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემადგენლობაში. საფინანსო საქმიანობა ისეთი საქმიანობაა, რომლის შედეგად რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება საწარმოს საკუთარი კაპიტალი და ნასესხები სახსრები.

20. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

21. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის

ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან.

კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ ქონია პირობითი აქტივები, ვალდებულებები და ანარიცხები.

აღნიშნული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.